№ 145, ივლისს 9, სამშაბათი. 1866—1885 ივლისს 9, სამშაბათი. № 145.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის სიგრძე-სიგანეზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

მიიღება ნახევარ-წლით ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზე“

ივლისის პირველიდამ წლის დამლევამდე

ფასი ხუთი მანათი

სოფლის მასწავლებელთათვის

ოთხი მანათი

## შინაური ქრონიკა

●●● განზრახვა აქვთ თურმე, რომ ძველ სენაკში დაარსებულ სათავადაზნაურო სკოლის მოსამზადებელ კლასთან სამეურნეო განყოფილებაც დააწესონ, სადაც საზოგადო განათლებასთან ერთად მოსწავლეთ შეეძლებათ პრაქტიკული ცოდნა შეიძინონ. ეს მით უფრო მარჯვედ მიაჩნიათ, რომ თუ ვინიცობაა ზოგიერთ შეგირდებს უეჭველად გიმნაზიური განათლების მიღება სწადიანთ, შეუძლიანთ მოსამზადებელი კლასიდამ პირდა-პირ გიმნაზიაში შევიდენ.

●●● დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს ქალაქში, ველიამინოვის ქუჩაზედ, მელვინოვის სახლში გაიხსნა ქალაქის სტანცია ჩვენის რკინის გზისა. ეს სტანცია მეტის-მეტად უადვილებს ხალხს როგორც რკინის გზაზედ მოგზაურობას, ისე საქონლის გადატანას. რკინის გზის ბილეთების ყიდვა შეიძლება ამ სტანციაზედ იმავე დღის მატარებლებისა და მეორე დღის პირველი მატარებლისა, მხოლოდ მყიდველმა 2% უნდა გაიღოს თვით ბილეთის ფასისა, გარეშე სახემწიფო გარდასახადისა, რომელშიაც 2% არა ჰხდილობს. ეს სტანცია კისრულობს საქონლის გადატანას სახლებიდამ, მაღაზიებიდამ და თვით სტანციიდამ და აგრეთვე ამ უკანასკნელიდამ სახლებამდე, მაღაზიებამდე და ქალაქის სტანციამდე. ამისათვის იგი იღებს დიდის სიჩქარით გადასატან საქონელზე ფუთზე 5 კაპეიკს და მცირე სიჩქარით გადასატანზე $2\frac{1}{4}$ კაპ.—$2\frac{1}{2}$ კაპეიკამდე.

●●● ქალაქის ხალხს ისე შეუყვარდა ჭიდაობა; რომ განგებ ამ საგნისათვის ვილაცა ცირკის მზგავს შენობას აკეთებს ვორონცოვის სანაპიროზედ (ნაბერეჟნაია). თავად ფასების დანიშვნის შემდეგ ჭიდაობამ თავის უწინდელი ხასიათი დაჰკარგა და ეხლა ხომ მარტო ჯიბე-ყვლეფიაების სასარგებლო შეიქმნება იგი.

●●● სოფელ ილორიდამ (იმერეთი) გვწერენ, «ჩვენ, ილორის საზოგადოების გლეხებს გვქონდა ბატ. სენაკის მაზრის უფროსისაგან ნაბძანები გაგვეყვანა გზატკეცილი ცხენი-წყლის პირიდგან, ბაწარიეის ჭალის ბოლოზედ და უნდა მისულიყო ეს გზა მდ. ლოღობამდის, სადაც თავდება სენაკის მაზრა და იწყება ქუთაისისა. ამ საზღვარს, ესე იგი მდ. ლოღობას იქით უნდა გაეყვანა გზა ქუთაისის მაზრის მცხოვრებლებს, კულაშის საზოგადოებას სტანცია სამტრედიამდის, სულ ნახევარ ვერსის მანძილზედ. ეს გზა მეტის მეტს საჭიროებას შეადგენს ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის. ამ გზით შეიძლებოდა ესარგებლნათ თითქმის სამი მაზრის მცხოვრებლებს: ქუთაისისას, სენაკისას და ზუგდიდისას. ჩვენ თუმცა ბრძანება ბატ. მაზრის უფროსისა ორი წლის შრომით და ჩვენი ხარ-ურმებით მოვიყვანეთ აღსრულებაში და გავაკეთეთ მშვენიერი გზატკეცილი ცხენი-წყლის პირიდგან მდ. ლოღობამდის, ჩვენი მაზრის საზღვრამდის და ქვა-კენჭიც დავაყარეთ, მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, ამ ორი წლის შრომამ ჯერჯერობით ფუჭად ჩაიარა, რადგან დანარჩენი გზა ქუთაისის მაზრაში არ გაკეთებულა. ნეტავი ჩვენთვის ებძანებინათ, თორემ ნახევარი ვერსის სიშორეზედაც არ დავზოგავდით ჩვენს შრომას, იქაც გავაკეთებდით,—თუმცა მისი გაკეთება ქუთაისის მაზრის მცხოვრებლების რიგი იყო, სახელდობრ კულაშის საზოგადოებისა. მაგრამ ამ უკანასკნელმა საზოგადოებამ არამც თუ არ ისურვა გზის გაკეთება, ისიც კი არ მოინდომეს, რომ ნახევარ ვერსის სიშორეზედ გაეშვათ გზა მათს საზოგადოებაში, რადგანაც ზოგიერთა კერძო პირების მიწებში გაივლის. ვსთხოვთ, ვისაც ამ საქმეზედ ყურადღების მიქცევა მართებს, გააკეთონ გზა სამტრედიის სტანციამდის მდ. ლოღობიდგან და ჩვენს ამოდენი ხნის ნაშრომს და ნაჭირნახულევს ამაოდ ნუ ჩაატარებენ.»

●●● ილორიდამვე გვწერენ, რომ შემდეგ ამ სოფლის სკოლის დაწვისა, საზოგადოება გულ-მხურვალედ მოეკიდა სწავლის საქმეს და თუმცა მასში 360 კომლზე მეტი არ არის, განიზრახეს ააგონ კარგი შენობა სასწავლებლისათვის და მინამდის კი სწავლა სასოფლო სასამართლოს ზალაში სწარმოობს.

●●● ძლივს წყლის გაყვანის საქმეს ჩვენს ქალაქში ბოლო ედება. მუშაობის დაწყებას ამ წელსვე აპირობენ. გამგეობამ დიდის აუზის გასამართავად იყიდა მიწა მილოვისა 2 მანათად და 50 კაპ. საჟენი მთაწმინდაში, რომელზედაც ძველი აუზია გამართული. აუზში 40,000 ვედრო წყალი ჩავა. აქედამ წყალი მილებით ქალაქში დარიგდება. წყალი ავა მხოლოდ 50 საჟენის სიმაღლეზედ, და ის

## გოგოს ჭირიმე... *)

(მეურმის სიმღერა)

გოგოს ჭირიმე, გოგოსი, ჭირიმე ერთა-დერთისა,
პაწა გოგოსი, დილის მზის, ჭირიმე იმის ღმერთისა!
გოგოს ჭირიმე, გოგოსი, ჭირიმე ღელ-წამ-ტანისა,
ფუნთუშა, ძუძუ-კოკობის, ჭირიმე გულწამტანისა!
გოგოს ჭირიმე რომ ღუის, როგორც რო თურაშაული,
პირის რად მარიდებს, იმასთან რა მაქვს მე დანაშაული?!...
გოგოს ჭირიმე, გოგოსი, ჭირიმე იმის გულისა,
იმის ყუყუნა თვალების, კალმით დახატულისა!...
რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, არ მეკარება გოგონა,
სხვის დანიშნული თუ არი?... მე კი.. მე—ჩემი მეგონა!...
ნუ მკლავ, გოგონავ, წყეულო, ნუ ამარიდე პირია,
თავი რომ მკერდზე მოგანდო, შენთვის რა გასაჭირია?!..
ნუ მომკლავ დედის-ერთასა, ღმერთი იწამე, წყეულო,
ნუ მომკლავ, გოგოვ, ნუ მომკლავ, ჩემს გულში შამოჩვეულო!..

თ. რაფ. ერისთავი.

12 მაისი, 1885 წ.

*) ეს მშვენიერი ლექსი „ივერიის“ უკანასკნელ №-შია დაბეჭდილი. რედ.

ბათუმ.—ბათუმის მისავალი.—აქაური ძვირობა.—მეჩეთში მლოცველნი და არფიანკები.—ბატარეია და დიპლომატი აფიცერი.—ბისმარკის სილა ჩერჩილს და ხონთქრის ცხვირის დაცემინება.—ბათუმის საბანელნი.—აქაური ქართული სკოლა და უძრავი მასწავლებელი.—დანარჩენი შემდეგისთვის.

ასე ბოლო-ამაღლებულად გამოსთქმენ ხოლმე თათრების ქალაქში მიმავალნი მგზავრნი ზემო დაწერილს სახელს... ისე მომხიბლელად მიუმჩნევიათ ეგ სახელი, რომ ბრუნვის ბოლოც კი მოუგლეჯიათ და ყოველს ბრუნვაზე ერთი და იგივე დაბოლოვებით ბათუმ, ბათუმ-ს გაიძახიან. ე დალოცვილი ჯარის-კაცები მაინც რაღაც განსაკუთრებითი კილოთი წამოიძახებენ: მამლებივით აიფხორებიან და ისე იტყვიან «ბათუმ», ბათუმს, რომ თითქო გუშინ დაემორჩილებინოსთ ეგ ქალაქი და თითოეულს მათგანს ცამეტ-ცამეტი ფაშასათვის მოესრისოს ყურები.

ამის გამგონე მგზავრს მიგეჩქარება ამ ახალი ბათუმისაკენ და სული მიგდის, ვიდრე დაინახავდე, რა ცვლილება მოუხდენია ამ აზიელი კულტურის ნაშთზე ევროპიელობას. ამ ფიქრში რომ ხარ, მატარებელიც მიგაგოგმანებს შენი სანატრელი წერტილისაკენ: მარჯვნივ ზღვა გაშლილა და მისი ნაპირის ტალღები ქაჯეთისა და თამარის ციხეთა კალთებს ეშხაპუნება, ზედაპირი ვერცხლის ტბასავით მოსარკული აქვს და ახლად ამოგორებული ბადრი მთვარის სხივებს ეარშიყება. მარცხენა ყურში ციცაბო კლდეზე მისკუპებულ ბუჩქნარზე მსხდომ ბულბულთა ყეფა-რაკრაკი მოგესმის, მარჯვენაში ზღვის ხვნეშა ჩაგძახის. ცაზე მთვარე და მოკაშკაშე ვარსკვლავნი ლაპლაპებენ და წინ კანდელის (მაიაკის) და მინარეტის ფარნები მოკიანთობენ. ოჰ, რა მადლს იზამდა მატარებლის გამომგონი, რომ თავისი გამოგონილი მაშინა იმ პირობით გამოექვეყნებინა, თუ მისი მომხმარებელნი ვაგონების თვალებს გარს გუტაპერჩას შემოარტყამდენ. მაშინ რკინის-გზის რახა-რუხი აღარ დაჰშავდა ბულბულისა ნაზ გალობას, ზღვის ოხვრას და ამასთანავე ახალ შეყრილ ცოლ-ქმართ და სასძლო-სასიძოს ჩუმ საუბარს არ შეუშლიდა. მაგრამ აბა იმას როგორ იფიქრებდენ უატი და სტეფენსონი, რომ ჩვენ ისე გავკადნიერდებოდით და გავნაზდებოდით, რომ ვირით, ჯორით და კამეჩის ურმით მოარულნი აზიელები გუტაპერჩაზე მგორავ ურმის თვალს მოვითხოვდით!

გავიდა თერთმეტი საათი და მატარებელი ბათუმის სტანციას მიადგა. სტანცია აფიცრებით არის გატენილი; მხოლოდ აქა-იქ მოჩანს ფეს-დახურული ქართველი—ოსმალო, რომელნიც ორ წყალთა შუა გარჩენილან და არც მაჰმადის სამოთხეში უმზადდებათ ბინა, არც ჩვენს საიქი-

ნაწილები ქალაქისა, რომელნიც ამაზედ მაღლა მდებარეობენ, გაყვანილ წყალს მოკლებულნი იქნებიან. აუზის ახლო ბაღის გაშენებას აპირობენ. მ. დავითის მოედანზედ გამართული იქნება საერთო კრანი და აქაც ბაღი გაშენდება. მეორე აუზი იქნება გამართული კუკიაში, პირველ აუზზე ცოტა დაბლა, სტრელკების ყაზარმების ახლო. წყალი იქნება გაყვანილი ავჭალის წყაროებიდამ და თუ იქ დაშრა, მტკვრიდამ.

ბ-ნს მილოვს, წყალის გაყვანის შემდეგ, მთაწმინდის კალთებში ვენახის გაკეთება სწადიან. („კავკ.)"

ამავე გაზეთის სიტყვით ეგზარხოსს პავლეს უშუამდგომლია წმ სინოდის წინაშე, რომ ნებართვა მიეცათ საეკლესიო კონსისტორიების წესდების ქართულად გადათარგმნისა. სინოდს ნება-დაურთავს და თარგმანი კიდეც შეუსრულებიათ. დაბეჭდვის შემდეგ წესდება საქართველოს ყველა მღვდლებს გაეგზავნება.

სოფ. დირბიდამ (ქართლი) გვწერენ გაზ. „კავკაზს", რომ ამ სოფლის ახლო არის ერთნაირი მიწა, რომელსაც მცხოვრებნი თავის დასაბანად ხმარობენ. ამ დღეებში თურმე ორი ქმრიანი ქალი და ერთიც პატარა წასულან ამ მიწის მოსატანად. ამოუთხრიათ მიწა, აუვსიათ ტომარა, აუკიდათ ერთი გლეხი-კაცისათვის და ეს უკანასკნელი შინ წამოსულიყო. უეცრად დაუგრიალა მიწას, ჩამოწოლილიყო და ქვეშ მოეტანა ერთი გათხოვილი ქალი და მეორეც პატარა; მესამეს გულს-შემოჰყროდა. მაშინვე ხალხისათვის დაეძახნათ, ამოეთხრათ მიწა და მხოლოდ ორი უსულო გვამი ეპოვნათ. მესამე ქალი ჭკუიდამ შეშლილა.

გაზ. „კავკაზივე" გვაცნობებს, რომ ივლისის 4-ს ღამე მე-191 ბუტკაში მე-479 ვერსზე ჩვენის რკინის გზისა მოკლული უნახავთ გზის სტოროჟი.

ამავე გაზეთს აცნობებენ, რომ შემახიის ახლო ამ დღეებში ჩაირებს სამი ყაჩაღი დაუჭერიათ, რომელთაც ივნისის 25-ს სოფ. საღირლისთან გზის ყარაული და მუშა გასცარცვეს და მათის ცოლების უპატიურობა მიაყენეს. ერთი ამ ყაჩაღთაგანი 22 წლისაა თურმე და მეტის-მეტად წამოსადეგი სანახაობისა.

გაზ. „Новости"-ს სიტყვით რკინის გზას იმიერ კავკასიის მხარეში მარჯვედ აკეთებენ. მასალა საჩქაროდ მიაქვთ იქითკენ. გემების საზოგადოების გარდა, მასალა რამდენსამე კერძო პირს გადააქვს. ადგილობრივ ამ ჟამად ორმოც ინჟინერამდეა თურმე.

გაზ. „Каспій" იწერება, რომ ბაქოს კეროსინის მწარმოებელნი ნავთის ნაკლებულობასა გრძნობენ და ამის გამო კეროსინს მხოლოდ იმათ აძლევენ, ვინც მათთან კონტრაქტით არის შეკრული და შემთხვევით მყიდველებს კი უარს ეუბნებიან.

## მ. დავით ლამბაშიძის ჭეშმარიტების დაცემისათვის.

ნუ შეხვალ ნუ აბანები,
ნუ გამოხვალ ნუ თრთიო
ანდაზა.

შეველი საბანაოდ და თრთოლასაც უნდა გავუძლო, რა გაეწყობა.

მკითხველს ეხსოვება, რომ «დროების» მე 119 №-ში იყო დაბეჭდილი ერთი ჩემი წერილი წინააღმდეგ დ. ლამბაშიძის შენიშნვისა ჩემზედ, რომელიც მისს საკუთარს «მწყემსში» ეწერა. ჩემის წერილის ჭეშმარიტებას და სიმართლეს ასე შეუძრწუნებია და აღუშფოთებია მ. ლამბაშიძე, ისე გასჯდომია ძვალსა და რბილში რომ ლამის ყოველ-გვარი სიტყვები შემოელიოს და დედ-მამის გინებას მომყოს ხელი. მე თქვენ მოგახსენოთ ბ. სანებლიძე დაუშლის. ამაზედ იტყვიან: როგორიც ალხანა, იმისთანა ჩალხანაო; როგორიც რედაქტორ-გამომცემელი თქვენა ბძანდებით თქვენის «მწყემსით», იმისთანა ზედამხედველიცა გყავთ.

მ. დავით! თქვენ რომ სიტყვებს იხარჯებით თქვენს პასუხში, იმისთანა სიტყვები მეც ბევრი მდგა პირზე ჩემი პირველი წერილის დაწერის დროს, მაგრამ პატიოსნებამ თავი შემაკავებინა და არ დავწერე, და არც «დროებასთანა» გაქვსთ რაიმე საშდურავი, ამიტომ, რომ იმ წერილში ერთად ერთი სიტყვა მქონდა თქვენზედ ნათქვამი ცოტა მკვახედ და «დროების» რედაქციამ იგიც არ გამოუშვა და თქვენ რომ როშავთ, იმდენი რომ მე დამეროშნა, მაშინ იქნება ჩემის წერილის ფურცლებისათვის «დროების» რედაქციას კალათში ეკრა თავი.

თუ ნიორი არ გიჭამია, პირი რისთვის გეწვისო, ნათქვამია. თუ ჩემი წერილის ჭეშმარიტება არ გენიშნათ, ასე კუდი რად მოგეწვათ; ასე რამ გაგაბრაზათ, რომ აღარაფერს უზრდელს სიტყვეას არ ზოგავთ. ეს მე კარგად ვიცი, რომ თქვენთვის ტყუილი და მართალი სულ ერთია, ოღონდ რაიმე ნაირად თავი გაიმართლოთ, მაგრამ პასუხის მიცემა და თავის გამართლება ლანძღვით-კი არა, პატიოსნურად სჯობიან; საზოგადოება უფრო დაგიჯერებთ, როდესაც დაწყნარებულად და პატიოსნურის ლექსით ესაუბრებით მოპირდაპირეს; და ამისთანა გაცხარებული და ლანძღვის სიტყვები-კი სიმტყუნის ნიშანია.

ჩემი წერილი ძალიან გარკვევით იყო დაწერილი და სინამდვილითაც. მასში ერთი იოტის ოდენა ტყუილი არ ყოფილა. დარწმუნდით, მ. დავით, რომ მე არა ვარ კუდ-ქიცინა მელია და ამ მელიების შეხედვაც ჭირივით მეზარება, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ უფრო მომეტებულად იმათ ვხედავ. მე არა ვარ იმ პირთაგანი, რომელნიც თქვენ ზურგს უკან სამარეს გითხრიან და ქვესკნელში გაძვრენენ და როდესაც პირის-პირ შეგეყრებიან, მიწაზედ თავს ურტყამენ, გაქებენ და შემონატრიან თქვენს ნიჭს, რომელზედაც, როგორც მე მიცვნიხართ, ძალიან სუსტად ბრძანდებით, თუმცა სასულიერო სემინარიის სტუდენტი კი ხართ. ჩემი გული არ არის გაპოხილი მლიქვნელობითა, ჩემში არ არის არაფერი დაფარული და ამიტომაც პირ-და-პირ, საქვეყნოდ ვაჩვენებ თქვენს ნაკლულევანებას. თქვენს ადგილს რომ სხვა ყოფილიყო, კი არ უნდა გაველანძღე, მადლობა უნდა ეთქვა ჩემთვის ამ ნაკლულევანების ჩვენებისთვის. ამას უნდა დავუმატო, რომ ჩემი პირველი წერილი ძალიან თავშეკავებულად მქონდა დაწერილი. ესეც იცოდეთ, მ. დავით, რომ ზრდილობიანი და პატიოსნური-ქცევა უფრო ძნელია, ვიდრე უზდელი და უპატიოსნო.

მე საშინლად მიკვირს, თუ რამ გაიძულათ, მამაო დავით, რომ ამდენს ლაპარაკობთ წინააღმდეგ ჩემის წერილისა. მე მოგეცით, თანახმად თქვენის შენიშნვისა, შესაბამი პასუხი და დღესაც განცვიფრებისაგან შეპყრობილი ვარ, თუ რატომ შემდეგს თქვენის «მწყემსის» ნომერში ან მეორეში და ან მესამეში, აღთქმისამებრ თქვენისა, არ დასწერეთ არაფერი ყრილობის დაწვრილებითს მოქმედებაზედ ჩემის თავს-მჯდომარეობის დროს. მაგრამ, მგონია, საძუე შემოგაწყდათ... თქვენ ჩვენი ყრილობის დადგენილის ჟურნალის შინაარსი არ იცოდით კარგად, როდესაც თქვენს

ოში. სხვანი კი სანთლებით გაჩაღებულ მეჩითში მუხლ-მოდრეკილნი ევედრებიან ზეცას და მისს წინასწარმეტყველს მაჰმადს, რადგანაც დღეს მათთვის შესანიშნავი უქმე და მარხვა «რამაზანია». წინ სასტუმროს მენომრეები შეგეფეთენ და გეუბნებიან: «იმპერიალ», «ფრანცია», «იმპერიალ», ფრანცია». ეს სასტუმრონი გახლავან, მაგრამ ბედის წერის დამაწყევარი სასტუმრონი. ნომრები მეტად ძვირი, კერძი ორ-ფასი, ღვინო სამ-ფასი და უვარგისი. ერთი სიტყვით, თუ ბათუმში არა, სხვაგან ასე ძვირობა ჯერ არ გვინახავს. სასტუმროში მისვლამდის ქუჩის პირად ერთი საუკეთესო მეჩითი დგას, რომლის მინარეტი კანდელზე უმაღლესია. მეჩითი გაჩირაღდნებულია. უფროსს მოლას მარჯვნით ახალ-გაზდა მკითხველ-მგალობელი უზის განცხრომილი სახით და უმეტესად თვალებ-მიხუჭვით გახძახის ზეპირ ლოცვა-გალობას რალაც საზარელი სომხური გალობის კილოთი; გიკვირს, როგორ მოთავსდა ამ კაცის ტვინში ამდენი სიტყვები ისე მტკიცედ, რომ არც ერთი არ ეშლება. მაგრამ ალბად მის ტვინში ამ სიტყვების მეტს არავითარს შთაბეჭდილებას ალაგი არ უნდა ჰქონდეს. მათ წინ ფეხ-მორთხმით სხედან მლოცველნი ქილობით მოგებულს იატაკზე, ხელთ უპყრიათ ყორანი, შიგ ჩასცქერიან და ზოგი ტუჩის ცმაცუნით და ზოგი საიდუმლოდ ჰკითხულობენ, მგონი იმასვე, რასაც მოლა ლაღადებს. თორმეტ საათზე თავდება მათი ღვთის სამსახური და მეორე დღის შებინდებამდის წყალსაც ვერ ჩაუშვებს პირში, ვიდრე მთავარი მოლა მაშხალას არ აუშვებს ზეცას, მაჰმადის საყდრისაკენ. მაშხალა გავარდა და ნავთ-სადგურზე მოსამსახურე ოსმალონი დახარბებულად სმენ წყალს, სჭამენ სხვა-და-სხვანაირ ზეთიან, ერბოიან და ფლავით შემზადებულ საჭმელებს. მთელი ზღვის კიდე იესო ქრისტეს ხუთი პურით და ორი თევზით გამასპინძლებულს ხალხს წარმოგიდგენს. დასტოვე ერთ წამს, მკითხველო, ყველაფერი, რაც შენ არ მოგწონს ზოგიერთ სარწმუნოებაში და ჩაიხედე ოსმალოს გულში, როცა ის გულ-წრფელად მუხლს იდრეკს მეჩითში, როცა ის მოწიწებით თაყვანსა სცემს მაჰმადს, იმ ნაირი განცხრომილი სახით აიხედავს ზევით, ისე დინჯად დააკარებს შუბლს მეჩითის იატაკს, რომ გგონია რაღაც ზეციური ძალა გადმოვიდა მასზე, ხორცსა და რბილში გაუჯდაო. როცა ამ მდგომარეობაშია მლოცველი, ნეტა თუ რამემ შეაშინოს ის? ნეტა თუ მთას არ ეცეს დასალეწად და ქვას დასალეჭად, როცა დრო და საჭიროება მოითხოვს და მისი განმაცხოველებელი სარწმუნოება შეურაცხყოფილია. ასე გონია, გარეშე მაყურებელს, მაგრამ მოლას ლაღადთან ამ მლოცველს მოესმის არფიანკების ხმაჩახლეჩილი სიმღერა და ჩხავილი; აქ უდამო-კავალრების ერთმანეთის გულიანი ლანძღვა-გინება. ვინ იცის გულში რას ამბობს კეთილ-მორწმუნე მოსლემინი, მაგრამ მისი შინაგანი ფიქრი ისე დაფარულია ჩვენთვის, როგორც შავი ზღვის ნაუბარი.

ცოტა გასცილდი დიდ მეჩითს და პირ-და-პირ მარჯვნით რაღაც ამაღლებული გორაკია, რომელზედაც მუშა ჭინჭველასავათ ირევა. ეგ გახლავთ ბატარეია. შემხვდა ერთი ნაცნობი მარსის მსახური.—ე რას აშენებენმეთქი?—«ბატარეიასაო» და ზედაც დაამატა: «აქედამ ინგლისელებს კუდით ქვა უნდა ვასროლინოთო». როგორ თუ კუდით ქვა, ვკითხე მარსის მოციქულს, განა ომის მოლოდინი კიდევ არის-მეთქი?—დიაღო, მიპასუხა. —აბა რა ნიშნებია ომისა-მეთქი.—ის, რომ ხონთქარს ყოველ-დღე ორ ორჯერ ცხვირს აცემინებსო და ყოველს დაცემინებაზე ვინძორიდამ ტელეგრამით ღვთის წყალობა მოდის დადოფლისაო.—ეგ რომელ გაზეთში ეწერა-მეთქი.—გაზეთში არ ვიცი, მაგრამ ერთმა ვაჭარმა მითხრა, რომელსაც ინგლისიდამ სახუმარო გაზეთები მოსდისო. — ეგ კარგი ფაქტია-მეთქი, მეც დავემოწმე, მეტი რა გზა მქონდა.—სხვა ხომ არა იცი-რა პოლიტიკაზე? ვიცი რომ ბისმარკს ლორდთა პალატაში ჩერჩილისათვის სილა უჭმევია,—რუსის პოლიტიკას რათა ჰკიცხავო?—სად ბისმარკი, სად ჩერჩილი? ოჰ, ბისმარ-კი კი არა, ის, ის, რა ჰქვია? ღმერთო, კაცს პური სახელი დაავიწყდაო, ოჰ, ღმერთო მომაგონე, უი,

შენიშნვას სწერდით და ბოლოს რომ გაიგეთ, თუ საქმე როგორ წავიდა, სათქმელი ალარაფერი დაგირჩათ და გაჩუმდით. გარდა ამისა, თქვენ როგორც სჯულის წარმომადგენელი, ფარისეველი არ უნდა იყოთ; ამ შემთხვევაში-კი თქვენი ფარისევლობა აშკარადა სჩანს და აი რაში: თქვენ რომ ჩემთან წერილი გამოგვგზავნეთ ყრილობის დროს, იმაში დაუსწრებლობის უმთავრეს მიზეზად მოგყავდათ შვილის ავადმყოფობა, მაგრამ არა, მ. დავით! თუ თქვენ გულზედ ხელს დაიდებთ და ისე წმიდის სინიდისით იტყვით, რომ მარტო შვილის ავადმყოფობამ დაგაბრკოლათ, მე რაც უფრო სასირცხო სასჯელია, იმას მივიღებ ჩემს თავზედ.

მ. დავით! თქვენს უზრდელს პასუხში რომ სწერთ: მ. ხუციევს დაუტოვებია ჩემი შენიშნვის ისეთი სიტყვები, რომელნიც თითქმის თავი მიზეზები იყვნენ ჩემგან შენიშნვის დაწერისაო აი საქმე როგორ გახლდათ. ამ კრებაზედ უკანასკნელი სიტყვა უნდა წარმოთქმულიყო სემინარიის დაარსების საქმეზედ ქუთაისში და დიდი გამჭრიახობა იყო საჭირო ერთ საქმეზედ, რომლის გამოთქმა საძნელო ყველასათვის და თქვენ მისთვის იმალებოდით, რომ ამ საქმის შესახებ სიტყვის გამოთქმა საძნელოდ მიგაჩნდათ? უოჩალ «მწყემსის» მწყემსო... დღეის შემდეგ თქვენი რაღა უნდა ვირწმუნოთ, მ-ო სულიერო? პატიოსანი კაცი ფარდას არ ამოეფარება. ეს თქვენი სიტყვები კიდევ თქვენს ფარისევლობას ამტკიცებენ. უკეთესი არ იქნებოდა პირ-და-პირ გეთქვათ, ღვთისაც მეშინიან, ღვთის რისხვისაცა; ერთისა მერიდება და მეორე მხარისაც მეშინიანო. ეს თითონ იგულისხმეთ... და ეს თქვენისთანა ს ლო პირისთვას პატიოსნება არ არის.

მე გთხოვდით დაგესახელებინათ თქვენს «მწყემსში» ერთი ავტორი მაინც თქვენგან მიღებული საყვედურით სავსე წერილებისა, თქვენის ყრილობაზედ დაუსწრებლობისაგამო და თქვენ-კი მის მაგიერად, რომ დაგესახელებინათ ამ წერილის ავტორები, მგზავნით საკითხავად სულ კერძო პირებთან და სულ სხვა საქმის შესახებ, მაგალითებრ, ისიდორე ნადირაძესთან და მ. მაჭარაძესთან და რისთვის? გინდათ თავი დააძვრინოთ საჭირო საგანს და იმისთვის; არა მ. დავით, თქვენზედ უგუნური ნურც სხვა გგონიათ. თქვენი ქამანდების სკოლა მეც გამომიცდია.

შემდეგ ამასა მე ვანებებ თავს და უკანვე გიბრუნებთ იმ თქვენს საზიზღარ სიტყვებს, რომელთაც, არამც თუ სასულიერო გამოცემაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს, არამედ ღმერთმა დაიხსნას მათგან ყოველი საეროც-კი. თქვენი გაზეთი განა ამისთვის არსებობს, რომ ამ ნაირი უკიდურესი სიტყვები ჰბეჭდოთ? თქვენ უნდა გაგეგებოდეთ სიტყვა «მწყემსი» რას ნიშნავს სირცხვილია ესე მოქცევა მისს ფურცლებთან; არ გეკადრებათ ამ ღვარძლიანის სიტყვების ხმარება გაზეთში, არ შეეფერება არც თქვენს ხარისხს და არც სასულიერო გაზეთს. თუ სულ გამოტვინებული კაცი არ იქმნა თქვენი «მწყემსის» მკითხველი და «დროებისა», მაშინვე მიხვდება, რომ შემდეგ ჩემის წერილისა, სიტყვით-კი არა, თუ შეიძლით საქმითაც არ დამზოგავთ.

შესახებ «მწყემსის» გამოწერისა, მ. ლამბაშიძე მართლულობს თავის პასუხში თავს მითი, რომ ძალით არ გამოეწერინებინოს იგი ს-ლოებისათვის, მ. დავით! ნუ თუ უარს-ჰყოფთ თქვენს წერილს ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზს გაბრიელთან, რომელზედაც რეზოლიუციაც აწერია იანვრის 21-დამ ამა 1885 წლისა, რომელ წერილშიაც ეხვეწებით «მწყემსის» გამოწერის თაობაზედ მიწერილობის მხოლოდ ერთი ეკზემპლიარს რომელიმე ბ-ჩინის სახელობაზედ და თან უმატებთ, რომ თქვენს კანცელიარიას არ შევაწუხებ და ყველა ბ-ჩინებთან თითონ მე გავამზადებ მიწერილობებსა, რომ რწმუნებულმა მათის საბჩინოის მ-ლებმა ყველამ გამოიწეროს «მწყემსიო». ეს არ გეკადრებათ. თითქმის ოცამდის მ-ლი თავის კრებულით ხელში გყავთ ჩაბარებული; თქვენი შემხედვარე, მიეჩვევიან ამასვე და ქრისტეს სამსჯავროში მათ მაგიერ პასუხს ვინ აძლევს?

(დასასრული ხვალ)

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი"

ივლისის 6-ს.

**პეტერბურგი.** გამოცხადდა უმაღლესად დამტკიცებული აზრი სახელმწიფო რჩევისა, რომ პოლშის ბანკი გადაკეთდეს ვარშავის კანტორად და მასნი განყოფილებანი სახელმწიფო ბანკის განყოფილებებად. კანტორისა და განყოფილებათა მოქმედება მაშინვე დაიწყება, როდესაც მზადებას გაათავებენ.

„Journal de St-Pétérsbourg"-ი ლონდონის გაზეთებისაგან გავრცელებულის ხმების შესახებ, ვითომ ზულფიგართან რუსის ჯარებს მომატებოდეს,—ამბობს შემდეგს: თუნდაც რომ ჩვენს ჯარებს წინ-წაეწიოთ, ძალიან ცოტა უნდა იყოს მათი რიცხვი. მაინცა და მაინცა ჩვენმა მთავრობამ გადაწყვიტა,—არა მოიქმედოს-რა იმისთანა, რასაც შეეძლოს მოლაპარაკების დაშლაო. გაზეთი [illegible] გადოებს მიგონილი საშიში ამბების გავრცელების ჯამი და დიდს მნიშვნელობას არ აწერს ცნობილი გაზეთების მტრობას რუსეთისადმი.

**მოსკოვი.** გუშინ მოსკოვში ხუთგან გაჩნდა ცეცხლი. ყველაზედ ძლიერი როგოჟის ნაწილში იყო, სადაც მრავალი შენობა დაიწვა; ცეცხლისაგან მოცემული ზიანი ხუთგანვე 300,000 მანათამდეა.

**ლონდონი.** აღელვებული მდგომარეობა, ცრუ ხმებით გამოწვეული რუსის ჯარების წინ-წაწევის შესახებ ავღანის სამზღვარზე, დაწყნარდა. გაზეთების კილო უფრო დამშვიდებულია: ისინი ამბობენ, რომ ომის შიში აღარ არისო. თვით ზულფაგარის ხეობა რუსებს არ უჭირავთ. ამ ხეობის ახლო დაბანაკებული რუსის ჯარის რიცხვი გაზვიადებულია.

საადმირალოს პირველმა ლორდმა, ჰამილტონმა, მიიღო რა ქალაქის დეპუტაცია, წარმოსთქვა, რომ განზრახვა გვაქვს ჯავშნიან ხომალდებისა ახალი კლასიფიკაცია დავაწესოთ და ამფეთქებელი გემების რიცხვს მოვუმატოთო. ლორდთა პალატას გარუბამ აცნობა, რომ მთავრობა მალე წარმოადგენს პროექტს ნაპირებისა და სავაჭრო ნავთ-საყუდრების გამაგრებაზედ და ამ საგნისადმი მიმართულს ცდას თვით ხალხისას ხელს შეუწყობს გემებით. მთავრობას განზრახვა აქვს აგრეთვე ფლოტი საფუძვლიანად გააუმჯობესოს.

ივლისის 7

**პეტერბურგი.** კავკასიის გრენადერის დივიზიის უფროსი ალხაზოვი და მეოცდა ხუთე ქვეითი დივიზიის უფროსი რერ-

---

ვაქო, ბლისტონი, ბლისტონი.—ამისთანა კაცის დავიწყება ამისთანა დროს არ შეიძლება რაზმის კაცსა-მეთქი:—ოჰ, ძლიერ საჭიროა ჩვენთვის ბლისტონის სახელი და მისი ნალაპარაკევი. То и дѣло впередъ-ს რომ მეტყვიან. წინ მტერი და უკან ჩვენ, რა მეგლისტონება, მეჩერჩილება. ჩერჩილი და მერჩილი თქვენისთანა მეგაზეთეების საქმეა და ჩვენ რომ გვიბძანებენ ბატარეიაზე თექვსმეტ მალაყს ვიზამ სიხარულით, როცა თოფი გავარდება.—ბარაქალა შენს ვაჟკაცობას, მეთქი და ზღვის პირს გავყე, სადაც საბანაო გამართული.

რა წოდების კაციც გინდა, ყველა აქ მოგროვილიყვნენ: ეპისკოპოსი, მასწავლებლები, ჩინოვნიკები, ადვოკატები, ვაჭრები, ექიმები. . ხუთი წამიც გავიდა და ზღვის პირი ცოდვაში ჩავარდნილი ადამის ტანისამოსით შემოსილებით გაივსო. აი აგერ ჩაიმალა ერთი მცურავი წყალში და თვალი ველარ მივატანეთ. გასწია წყალქვე, გასწია და ნახევარ-ვერსის მანძილზე ამოჰყო თავი შუა ზღვაში, გადაბრუნდა ტობის კალმახივით, შეპროწიალდა და ისევ დაიყურჭუმელავა, გვერდზედ გაწვა, სარული ცურვით მაღლა აეშვა, მერმე ისევ ძირს დაეშო ყურჭუმელაობით, ახლა ისევ პირქვე დაემხო, ისევ გადაბრუნდა და პირიდამ შადრევანივით კამარა წყალი ამოუშვა. ერთი სიტყვით, თუ გინახავს ჰაერში მონავარდე ტოროლა, სწორედ ისე იქცეოდა ეს უფთო და უბანდლო არსება ამ მარილიან წყალში.

პატარა მოშორებით ქალების საბანაო გამართული, ქალთა შორისაც აღმოჩნდა ერთი ისეთი მცურავი, რომ შეეძლო, თუ ზღვის გაღმა საყვარელი ჰგულებოდა, ადვილად გაეცურა მეორე ნაპირზე. სხვანი კი ტალღას ეთამაშებოდენ. მოგორდებოდა ტალღა, ქალებიც გადაახტებოდენ და მათი კისკისი ზღვის ხმას ებრძოდა. ბანაობა გავათავეთ, ახლა ბათუმის შესანიშნავი ალაგი უნდა გვენახა. ეგ ხოჩაის დალევამდის კარგი მოციონი იქმნებოდა ჩვენთვის. ყველაზე საინტერესო სანახავი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებული სკოლა იყო. ფაეტონით გავემართეთ სკოლისაკენ. აივანზე დასეირნობდა ჩაფიქრებული მასწავლებელი, რომელსაც ფასი ეხურა. მაშინვე გამხსენდა ჩვენებური ანდაზა: სადაც მიხვიდე, იქაური ქუდი დაიხურეო. მართლაც ამ მასწავლებელს თავისი გარეგნობითაც და საქციელითაც ისე შეუთვისებია ადგილობრივი მცხოვრებლები, რომ მისი იქიდამ დაძვრა დიდი დანაკლისი იქმნებოდა. რასა იქ, რომ მასწავლებელი ველარა სძლებს აქ და ველარა სძლებს უფრო იმიტომ, რომ ბათუმში სკოლისათვის ბინა მეტისმეტად ძნელი საშოვარია. აი წარმოიდგინეთ ეხლანდელი სასწავლებელის ბინა: კლასი ორ ოთახშია მოთავსებული ერთი ოთახი მოდიდოა და მეორე პატარა; შუაზე კედელია, მხოლოდ კარების ადგილია გამოჭრილი. ახლა როგორ უნდა ასწავლოს მასწავლებელმა? მას ერთი წერტილი აქვს ამორჩეული, რომელზედაც უძრავად უნდა იდგეს და ცხვირი კარების ჩარჩოს მიაჩეროს; ერთი ფეხი თუ გადადგა ან მარჯვნივ, ან მარცხნივ, იმ წამს თვალიდამ დაეკარგება მასწავლებელი ან ერთს განყოფილებას, ან მეორეს. რატომ უკეთესი სახლი არა გაქვთ მეთქი, ვკითხე და მიტომო; მიპასუხა, რომ ბათუმში სასკოლო სახლის შოვნა ძნელიაო. სახლის შოვნა არ გაჭირდებოდა, რომ ჩვენი საზოგადოების გამგეობას თავიდამვე რიგიანი კაცი დაენიშნა აქაური სკოლის საქმეების გამგედ და მზრუნველადაო, ბეგებმა მიწა გვაჩუქეს და იმოდენად იურიდიული საქმის მცოდნე ვერ ვიშოვეთ, რომ ფორმალურად საქმე შეგვეკაზმა და ადგილი ხელთ გვეგდოო. რომ ეგ ადგილი ასე დაუდევრობით ხელიდამ არ გაგვეშვა, იგი სახლსაც აგვიშენებდა და ადგილადაც გვეყოფოდაო. მეც დავემოწმე ამ ცხადს სიმართლეს.

ბათუმზე უფრო სხვა ნაირად მინდოდა მელაპარაკნა თქვენთან პატივცემულო მკითხველო: მინდოდა აქაურ ქართველ ახალგაზდა ქალსა და კაცზე ორიოდე სიტყვა მეთქვა, მაგრამ მარჯვენა წვერი მომიტყდა კალამს და ველარ მოვახერხე.

ს. უ—ნი.

ზურგი დანიშნულ იქმნენ—პირველი მესამე და მეორე მერვე კორპუსების კომანდირებად.

**ლონდონი.** მინისტრთა რჩევის შემდეგ რუსეთის ელჩს ხანგრძლივი მუსაიფი ჰქონდა სალისბიურისთან. მოლაპარაკებას მეგობრული ხასიათი ეტყობოდა. ბრიტანიის ელჩი ტორნტონი, რომელიც დღემდი პეტერბურგში იყო, სტამბოლს გადაიყვანეს; იმის ადგილზე დანიშნულ იქმნა პეტერბურგში ელჩი, რომელიც აქამომდე მადრიდში იყო.

**სიმლა.** ინგლისის განმსაზღვრელი კომისია ჰერათიდან ჩვიდმეტ მილის მანძილზე იმყოფება, გილგისში გაგზავნილი ინგლისის დესპანები თოვლის ზვავმა დააბრკოლა.

ივლისის 8-ს.

**პეტერბურგი.** «ნოვოე ვრემია» გვატყობინებს, რომ შინაურ საქმეთა მინისტრს ივლისის 20-სათვის მოელიან პეტერბურგში მინისტრი ეხლა ისე კარგად არის, რომ სამინისტროს მართვას ხელ-ახლავ დაიწყებს.

ფინანსთა მინისტრმა დაამტკიც' ინსტრუქცია სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებზედ ხარჯის დადებასა პროცენტებით, მისის აღების წესისა და ანგარიშის მოცემისა.

იმპერიის სხვა-და-სხვა კუთხეებიდამ მოსული ამბები მოსავალზედ სასიამოვნო არ არის. ზოგიერთ ადგილებში გვალვა მოისპო. ხარკოვის და ნოვგოროდის გუბერნიებში დიდი ავდრებია.

## ბირჟა

### პეტერბურგი ივლისის 5.

| | |
|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე— — | $23^{13}/_{16}$ $23^{15}/_{16}$ $23^{13}/_{32}$ |
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე— — | $202^{1}/_{4}$ 203 $202^{1}/_{2}$ |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — — | $251^{1}/_{8}$ $251^{7}/_{8}$ $251^{1}/_{4}$ |
| პოლუიმპერიალები — | 8 მ. 28 კ. გაყ. |
| ტამოჟნის კუპონები — | 8 მ. 29 კ. გაყ. |
| ვეცხლის მანათი — | 1 მ. 29 კ. გაყ. |
| ბირჟის დისკონტი— — | $5^{3}/_{4}$ და $6^{3}/_{4}$% |
| 5% ბილეთები სახელმწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — — | 98 მ. 87 კ. გაყ. |
| მეორე გამოცემისა — | $97^{1}/_{4}$ მ. გაყ. |
| მესამე გამოცემისა — | 97 მ. გაყ. |
| მეოთხე გამოც. — — | $97^{1}/_{4}$ მ. გაყ. |
| მეხუთე გამოც. — — | 97 მ. 12 კ. გაყ. |
| 5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მან. — — | $95^{3}/_{4}$ მ. გაყ. |
| მეორე გამოც. — — | 95 მ. გაყ. |
| მესამე გამოც. — — | 95 მ. 12 კ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა — | $217^{1}/_{4}$ მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა— | 211 მ. გაყ. |
| ოქროს რენტა — — | $170^{1}/_{2}$ მ. გაყ. |
| თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— — — | 27 წ. 89 მ. გამყ. |
| | 43 წ. $88^{3}/_{4}$ მ. გამყ. |
| ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. | 18 წ. 91 მ. გამყ. |
| | 43 წ. 90 მ. გამყ. |

## ცნობანი

**სამკურნალოში**, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავადმყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ სახებით, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის; საწამლებლად ბენკლევსკი—10—11 საათამდე—საქირურგო, სიფილისის ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ქირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 კათათვიდამ 1 მარიამობისთვემდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| ქართულის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^{1}/_{2}$ |
| მეორისა — — | —1 | გ | 2 კ. |
| **იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:** | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^{1}/_{2}$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | $2^{1}/_{2}$ |
| **ჯვარის-მამის პური:** | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^{1}/_{2}$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^{1}/_{2}$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ |
| **ძროხის ხორცი:** | | | |
| პირველის ხარისხისა— | 1 | გ. | 7 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 6 კ. |
| სუკი— — — | —1 | გ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი— | —1 | გ. | 8 კ. |
| **ღორის ხორცი:** | | | |
| პირველის ხარისხისა | 1 | გ. | |
| მეორისა — —1 — | | გ. | |

## რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის
**თბილისიდამ ბათუმისაკენ**
8 საათზე და 35 წამ. დილით.
**ბათუმიდამ თბილისში შემოდის**
10 საათ. 25 წამ. ღამით.
**თბილისიდამ ბაქოსკენ**
10 საათზე 55 წამზე ღამით.
**ბაქოდამ თბილისში შემოდის**
8 საათ. დილით
**თბილისიდამ სურამისაკენ**
3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.
**სურამიდამ თბილისში შემოდის**
8 საათზედ 24 წამ. დილით.


# განცხადებანი

## სანიავებელი მაშინები

ჩვენებურის (კევრით) ნალეწის გასანიავებლად, მოწყობილი ბ.ბ. ყაზბეგისაგან და სამოილოვიჩისაგან, მხოლოდ რამდენიმე-ღა დარჩენილა.

ფასი 90 მან.

მსურველთ შეუძლიანთ ნახონ ალექსანდროვის ბაღში, სამეურნეო საზოგადოების სადგურში და ბ. ყაზბეგთან, თბილისში, რკინის-გზის ვოკზალზე, დეპოს ნაჩალნიკის სადგურში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ შემდეგის ადრესით მომართონ: **Тифлисъ жел. дор. вокзалъ, начальнику депо г-ну Казбекъ.**

წერილების მომწერლებს უმორჩილესადა ვსთხოვთ თავიანთი ადრესები სწორედ და დაწვრილებით შეგვატყობინონ; აგრეთვე სანიავებელის გამოწერის დროს ისიც შეგვატყობინონ,—თუ რკინის გზის რომელს სტანციაზედ მოისურვებს გამოწერილი მაშინა ჩაიბარონ. (10—2)

ამ წლის სექტემბრის პირველს

## სამეურნეო სკოლაში

რომელიც გაიხსნა ამ ორის წლის წინად სოფ. წინამძღვრიანთ-კარში, მდებარე დუშეთის მაზრაში, იქმნებიან ახლად მიღებულნი ბაშვები ყველა წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. ბაშვები უნდა იყვნენ არა ნაკლებ ათისა და არა უმეტეს თოთხმეტის წლისა. გამოცდა ყმაწვილებისა არ იქმნება, ბაშვების დედ-მამანი არა გადასახადს არ გადაიხდიან. შეგირდებს ეძლევათ უფასოთ სწავლისათვის საჭირო წიგნები. შეგირდები შეისწავლიან სალმრთო სჯულსა, რუსულსა და ქართულს ენებსა, არითმეტიკას, მამულის მოვლას, კავკასიის მოკლე გეოგრაფიას, რუსეთის და ევროპიის სახელმწიფოებისას და საზოგადო მიმოხილვას ქვეყნებისას, ელემენტარულ ზოოლოგიას, ბოტანიკას და მინერალოგიას; განსაკუთრებითი ყურადღება იქნება მიქცეული კავკასიის მცენარეებს, მიწის შემუშავებას, ხეხილისა და ვაზის კეთებას, ღვინის დაყენებას, ბოსტნეულობას, ტყის მოვლას, ფუტკრის გაშენებას, სასოფლო მეურნეობას, ანგარიშს, ტეხნოლოგიას, საზოგადო მისახედრს ჰიგიენას, ქიმიას, პირუტყვთ მკურნალობას, ხატვას და ხორით გალობას. გარდა ამისა სკოლის შეგირდები შეისწავლიან სახელოსნოში, რომელიც ამ ორის თვის წინად გაიხსნა, მჭედლობას და ჩილინდრობას (სლესრობას); შემდეგში კი დურგლობას და ბოჩკის კეთებას. დედ-მამათ ანუ აპეკუნებმა უნდა წარადგინონ ბაშვები პირველ სექტემბერში ს. წინამძღვრიანთ-კარში, სადაც თვითონ სკოლა იმყოფება.

მზრუნველი სკოლისა
ი. წინამძღვრიშვილი.

(5—3)

## კახელ მემამულეთა

თ. ა. ი. ჯანდიერის და ამხ.

ღვინის სარდაფში

იყიდება კარგად შენახული ნამდვილი ღვინოები კახეთის საუკეთესო ზვრებისა; ამასთან **თეთრი** და **წითელი** ღვინო **სოფ. ვაჩნაძიანისა**—თ. თ. ჯანდიერებისა.

სოფლად გამსვლელთ შეუძლიანთ მოითხოვონ ერთბაშად.

სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, № 2.

(10—7)

Присяжн. повѣренный А. С. Френкель перешелъ на другую квартиру: въ Сололаки, по Нагорной улицѣ, въ д Мерабова

Туда-же переведены редакція и администрація журнала «Юридическое Обозрѣніе».

ОТКРЫТА ПОЛУГОДОВАЯ ПОДПИСКА

НА ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ЖУРНАЛЪ

## „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“,

издаваемый въ г. Тифлисѣ.

(ГОДЪ ПЯТЫЙ)

Подписная цѣна, съ пересылкою и доставкою, **НА ПОЛЪ ГОДА 6 р.** **Полугодовые подписчики могутъ вносить при подпискѣ 3 р. и черезъ два мѣсяца еще 3 р.**

Подписавшимся на весь годъ высылаются вышедшіе №№.

Желающіе пріобрѣсти журналъ за прежніе года уплачиваютъ за 1881 г. 8 р. 20 к., а за всѣ послѣдующіе—по 10 р. за каждый годъ. Для г.г. студентовъ годовая подписка 8 р. (вмѣсто 10), а полугодовая—5 р. (вмѣсто 6).

Иногородн. подп. «Юрид. Обоз.» имѣютъ право на полученіе чрезъ редакцію свѣдѣній о положеніи ихъ дѣлъ въ Тифл. судеб. учрежд.—въ текстѣ журнала безвозмездно, а письменныя и телеграфныя—по соглашенію съ ред. журнала.

Пріемъ подписки, объявленій и розничная продажа: въ Администраціи журнала—въ Тифлисѣ, Сололаки, Нагорная улица. д. Мерабова, также въ Москвѣ и С.-Петербургѣ—въ книжныхъ магазинахъ И. П. Анисимова.

(5—3)


*Доз. ценз. Тифлисъ, 8 Іюля 1885 г.* მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.